ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№62. 62241762**
თარიღი:**24/06/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ ქვეპროგრამების განმახორციელებელი მერიის სამსახურებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმების წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე"-ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-15-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებია და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის 2024 წლის 21 ივნისის №05-622417324 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ქვეპროგრამების განმახორციელებელი მერიის სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადების მიზნით მერიის სამსახურებმა და მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების 3.6.9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის ანგარიშები, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 5 დღის ვადაში,ხოლო წლიური შესრულების ანგარიში საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

3. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმების წარდგენის კალენდარი დანართი №1-ის შესაბამისად.

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის

ფორმების წარდგენის კალენდარი

	თარიღი/ვადა	**აქტივობა**
	1 მარტი	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს **წარმომადგენლობით ორგანოს.**
	5 აპრილი	მერიის სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 3 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 აპრილი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	1 მაისი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს **წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს**
	1 მაისი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს **აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე**
	5 ივლისი	მერიის სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 6 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ივლისი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	31 ივლისი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს წარუდგენს **წარმომადგენლობით ორგანოს.** მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს **აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.**
	5 ოქტომბერი	მერიის სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 9 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ოქტომბერი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	31 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს **წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს**
	31 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 9 თის ანგარიშს **აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე**

	9 თებერვალი	მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად
	26 თებერვალი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების **წლიურ ანგარიშს** პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად .
	1 მარტი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს **წარმომადგენლობით ორგანოს**
	1 მარტი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების **წლიურ ანგარიშს აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე**

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ვლადიმერ ზაქრაძეს.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი